სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები,
ჰუმანიტარულ და სოციალურ-პოლიტიკურ მეცნიერებათა სერია,
Proceedings of Sokhumi State University,
Humanities and Socio-Political Sciences Series, ტომი/ Vol. XX, 2022 წელი

ნოდარ ბერულავა[1]
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

https://doi.org/10.52340/sou.2022.20.11

ეთნო-პოლიტიკური მდგომარეობა ცენტრალური აფხაზეთის სანაპიროზე ბერძნული კოლონიზაციის მომენტიათვის (ძვ. წ. VII-V სს.)[2]

აბსტრაქტი. სოხუმის ყურე მდებარეობს აფხაზეთის სანაპიროს ცენტრალურ ნაწილში, სადაც ძველად უძველესი ქალაქი დიოსკურია მდებარეობდა. სავარაუდოდ, იგი ძვ.წ. VI-V საუკუნეებში წარმოიშვა. მაგრამ მანამდე აქ რთული ეთნოპოლიტიკური პროცესები მიმდინარეობდა, მათ შორის სკვითების და კიმერიელების შემოსევები, შესაბამისად, მდგომარეობა არასტაბილური იყო. დიოსკურიის სამხრეთით გაძლიერდა კოლხეთის სამეფო, რომელთა მეფეებმა ეს ტერიტორიაც დაიმორჩილეს. პარალელურად მიმდინარეობდა დიდი ბერძნული კოლონიზაციის პროცესი, რომელიც კოლხი მეფეების მიერ ჩრდილო-დასავლეთით ტერიტორიების გაფართოებას დროში დაემთხვა. უფრო, მეტიც შეიძლება ვივარაუდოთ, ბერძნებსა და კოლხებს შორის თანამშრომლობაც. ძვ. წ. VI ს-ში აღდგენილი და გაძლიერებული კოლხეთის სამეფო მასტაბილიზირებელ ძალას წარმოადგენდა და მასთან თანამშრომლობა იმ ეტაპზე ობიექტურად, როგორც ადგილობრივი კოლხების, ასევე ბერძენი ვაჭრების ინტერესებში შედიოდა, რომლებსაც ამის წყალობით აქ კოლონიის შექმნის შესაძლებლობა მიეცათ.

საკვანძო სიტყვები: ცენტრალური აფხაზეთი, კოლხეთის სამეფო, ბერძნული კოლონიზაცია, სანაპირო ზოლი, ეთნო პოლიტიკური მდგომარეობა;

---

[1] **ნოდარ ბერულავა**, ისტორიის დოქტორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი.

[2] მოხსენება წარდგენილი იყო სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებულ მეორე საერთაშორისო კონფერენციაზე *„აფხაზეთის კულტურული ფასეულობანი: ენა, ლიტერატურა, ისტორია, სოციალური მეცნიერებანი, კულტურის ძეგლები“*, რომელიც აკადემიკოს მარიამ ლორთქიფანიძის დაბადებიდან 100 წლისთავს მიეძღვნა 2022 წლის 8-9 დეკემბერს.

Nodar Berulava[3]
Sokhumi State University

Ethno-political Situation on the Coast of Central Abkhazia at the Time of Greek Colonization (VII-V Centuries BC)[4]

Abstract. Sokhumi Bay is located in the central part of the coast of Abkhazia. In ancient times there was the ancient city of Dioscuria. It probably originated in the 6th-5th centuries BC. But before that, complex ethno-political processes took place here. Recently there have been invasions by Scythians and Cimmerians. The situation was unstable. In the south, the kingdom of Colchis was strengthened. Soon the kings of Colchis subjugated this territory as well. At the same time, the process of the Great Greek Colonization was taking place. But this process has already come to an end. Both of these processes coincided in time. We can assume the consistency of actions between the kings of Colchis and the Greeks. The Greeks wanted to establish a trading colony here. They needed the stable power of the kings of Colchis in this region. The kings of Colchis also benefited from the trading colony of the Greeks here. We can assume the consistency of actions between them.
Key words: Abkhazia, Greek colonization, coastline, ethno-political situation;

ძირითადი კვლევა. გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანაში აფხაზეთის ტერიტორია შედიოდა კოლხეთის არქეოლოგიური კულტურის გავრცელების არეალში, რომლის შემქმნელები და მთავარი მატარებლები დასავლეთ-ქართული (კოლხური) ტომები იყვნენ. მიუხედავად იმისა, რომ კოლხეთის კულტურის ძირითადი ტერიტორია საკმაოდ ზუსტადაა დადგენილი, მისი საზღვრები ზოგიერთ მონაკვეთზე, მათ შორის ჩრდილო - დასავლეთით, დღემდე საკამათო რჩება. საქმეს ჩრდილოეთ კავკასიაში არსებულ ყობანის კულტურასთან დაკავშირებული პოლემიკაც ართულებს, რომელსაც მკვლევართა ერთი ნაწილი დამოუკიდებელ კულტურად თვლის, სხვები კი - კოლხეთის კულტურის ერთგვარ „ფილიალად“ მიიჩნევენ და ერთიანი, „კოლხურ-ყობანური კულტურის“ არსებობას ვარაუდობენ. გ. მელიქიშვილის ავტორიტეტული მოსაზრების მიუხედავად, რომ ძვ. წ. XII ს-ში კოლხეთში ჯერ კიდევ ტომთა მყარი გაერთიანებაც კი არ არსებობდა (Меликишвили, 1959: 185), დღეს საკმაოდ პოპულარულია სხვა ვერსიაც, რომლის თანახმადაც ამ დროს აქ უკვე იყო მსხვილი წარმონაქმნი, რომელმაც საფუძველი დაუდო მითს აიეტის ზესახელმწიფოს შესახებ (Лордкипанидзе, 1989: 206; 209). თუმცა ამ აზრსაც, ცხადია, ყველა მკვლევარი არ იზიარებს. ცხადია, უკვე გვიანბრინ-

[3] **Nodar Berulava**, Doctor of History, Associate Professor of Sokhumi State University.

ჯაოს ეპოქის დასაწყისში კოლხეთის კულტურის მატარებელი ტომები საკმაოდ სწრაფად გავრცელდნენ მეტ-ნაკლებად ვრცელ ტერიტორიაზე.

ოდნავ მოგვიანებით, ადრერკინის ხანაში (ძვ. წ. VIII ს-ში), ისტორიული კოლხეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ რაიონებში ცნობილია კულხად წოდებული კოლხური გაერთიანება. ძნელი სათქმელია, რამდენად შორს ვრცელდებოდა ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით მისი ტერიტორია, ან პოლიტიკური გავლენის სფერო (ადრესახელმწიფოებრივ და პროტოსახელმწიფოებრივ წარმონაქმნებში ეს ხშირად ფაქტობრივად ერთი და იგივეა),[5] მაგრამ ცხადია, რომ მისი არსებობა ნებისმიერ შემთხვევაში ამაგრებდა ამ სტრატეგიულად რთულ რეგიონში მცხოვრები კოლხური ტომების პოზიციებს. მდგომარეობა შეიცვალა ძვ. წ. VIII ს. ბოლო მეოთხედში მომხდარი სკვითთა და კიმერიელთა ლაშქრობების შედეგად. თუმცა ყველა ტომი ამისგან ერთნაირად არ დაზარალებულა. კავკასიაში მთავარი დარტყმა ბარის რეგიონებმა მიიღო, რომლებიც წამყვან ტომებსა და გაერთიანებებს ეკავა, მათ შორის - კოლხებსაც. ამავე დროს, ზოგიერთი, ძირითადად - შედარებით სუსტი და მანამდე დაჩაგრული ტომი „შეუერთდა კიდევაც სკვით-კიმერიელებს, რათა მათი დახმარებით მიეღწიათ წარმატებისათვის მეზობლებთან ბრძოლებში“ (Меликишвили, 1959: 221).

კულხამ, როგორც ჩანს, მარცხი განიცადა, ეთნონიმ „კოლხი“-ს მატარებელი ტომი განდევნილ იქნა, სავარაუდოდ, ტრაპეზუნდის რაიონში, სადაც ეს დასახელება მომდევნო საუკუნეებში დროდადრო ჩნდება ბერძნულ-რომაულ წყაროებში საკუთრივ კოლხეთის ტერიტორასთან პარალელურად. თუმცა ყველა კოლხური ტომის პირდაპირი ზარალი ერთნაირად კატასტროფული არ იქნებოდა (Лордкипанидзе, 1973: 21-22).

---

[4] კულხას სახელით ცნობილი ქვეყნის ძირითადი პოლიტიკური ცენტრები, ალბათ, ნამდვილად იქნებოდა იმ რეგიონთან ახლოს, სადაც ეს წარმონაქმნი ფიქსირებულია ურარტული წერილობითი წყაროების მიერ, მაგრამ მთლიანობაში მისი ტერიტორია გაცილებით ვრცელი უნდა ყოფილიყო. შეგახსენებთ, რომ სწორედ კულხა იყო ურარტუსთან ომების ინიციატორი, რადგან დაიპყრო ამ იმპერიის მოხარკე ქვეყანა - დიაოხი და, ასე თუ ისე, მოახერხა ამ მონაპოვრის შენარჩუნება, არადა ამ კონფლიქტის დასაწყისში ურარტუ ფაქტობრივად მაშინდელი ცივილიზებული სამყაროს მთავარ ძალას წარმოადგენდა! ქვეყანა, რომელმაც ასეთი სერიოზული მეტოქეობა გაუწია ამ ზესახელმწიფოს, ცხადია, თვითონაც არ იქნებოდა პატარა. აქედან გამომდინარე, ვფიქრობთ, გადამეტებული არ იქნება ვარაუდი, რომ კოლხეთის კულტურის არეალში შემავალ ტომებს გარკვეულ ეტაპზე საერთო პოლიტიკური ცენტრი ჰქონდათ. შესაძლოა, მისი გავლენა ყობანის კულტურის რეგიონის ნაწილზეც არ უნდა გამოვრიცხოთ, რადგან ბერძნული მითების თანახმად (რომელთა საბოლოო რედაქცია სწორედ ამ ეპოქას უნდა მიეკუთვნებოდეს) აიეტის იმპერიაში ყირიმის ნაწილიც კი შედიოდა! გასათვალისწინებელია, რომ ფაქტობრივად ყველა ქვეყნის არსებობა, რომლებიც თავიდან მხოლოდ ბერძნული მითებით იყო ცნობილი (ტროა, მიკენი, დიდი ფრიგია, მინოსის კრეტა) შემდეგში დადასტურდა, თანაც სწორედ იქ, სადაც ამ მითებში მითითებული იყო.

მაგრამ ცხადია, რომ ამ შემოსევებმა შეცვალა ადგილობრივ ძალათა ბალანსი, მთიელებს მიეცათ პასიონარული ბიძგი ბარის რეგიონებზე ზეწოლისთვის. კოლხებს, როგორც ჩანს, მეზობლებისგან თავდაცვაზე გადასვლა მოუწიათ, მათი ტერიტორია უნდა შემცირებულიყო. განსაკუთრებით რთული ჩანს კოლხური ტომების მდგომარეობა დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე. აქ ისინი იკავებდნენ საკმაოდ ვიწრო დეფილეს მთებსა და ზღვას შორის. ცოტა ხნის წინ მომხდარმა (და ბოლომდე ჯერ არც დასრულებულმა) სკვითთა და კიმერიელთა ექსპანსიამ კი მოძრაობაში მოიყვანა მთიელთა დიდი მასები, რომლებსაც ბარის სიმდიდრე იზიდავდათ. სწორედ ამ დროიდან უნდა აყვავებულიყო დასავლეთ კავკასიის ტომთა მეკობრეობა („კამარიტობა“), რომელიც შემდგომში, თითქმის მთელი ანტიკური ხანის მანძილზე, დიდ პრობლემად რჩებოდა შავ ზღვაზე.

ძვ. წ. VII-VI სს-ში, კოლხეთს სერიოზული საფრთხეები ემუქრებოდა არამარტო ჩრდილოეთიდან, არამედ სამხრეთიდანაც, სადაც უკვე დასუსტებული ურარტუს ადგილი დაიკავა ახალმა გეოპოლიტიკურმა ფაქტორმა, აგრესიული მიდიისა და სპარსეთის სახით. ამ რთულ პირობებში კოლხური ტომებისთვის ბუნებრივ გამოსავალს წარმოადგენდა ერთიან სახელმწიფოდ ხელახლა გაერთიანებისთვის ბრძოლა. სავარაუდოდ, ეს ბრძოლა დასრულდა ძვ. წ. VI ს-ში, ფასიანთა ტომის გამარჯვებით, რომლებმაც, როგორც ჩანს, პოლიტიკური მოტივით, კოლხთა პრესტიჟული სახელიც მიითვისეს. ძნელი სათქმელია, როგორ მიმდინარეობდა კონკრეტულად ეს პროცესი, მაგრამ ცხადია, რომ ჩრდილოეთისა და სამხრეთის სტრატეგიულ მიმართულებებზე მყარი კონტროლის განხორციელება პირველხარისხოვან ამოცანას წარმოადგენდა ახალშექმნილი სახელმწიფოსთვის. ჩრდილოეთში ეს პროცესი შედარებით მარტივად უნდა განვითარებულიყო, რადგან აქ არ არსებობდა სტაბილური, ძლიერი სახელმწიფოების მეტოქეობის პრობლემა: მომთაბარეთა ძლიერი, მაგრამ დაბალგანვითარებული გაერთიანებები ამ მხრივ ნაკლებ პრობლემას წარმოადგენდა, რადგან ისინი არსებითად არ იპყრობდნენ ტერიტორიებს, არამედ მხოლოდ ძარცვავდნენ მათ. სამაგიეროდ, მათგან მომდინარე საფრთხე ადგილობრივ ტომებს კოლხეთთან გაერთიანებისკენ ავტომატურად უბიძგებდა. როცა კოლხ მეფეთა კონტროლის ქვეშ მოექცა ძირითადად სვანური ტომებით დასახლებული დასავლეთ საქართველოს მთიანეთი, ეს პრობლემაც მეტ-ნაკლებად მოგვარდა.

წინაანტიკური და ანტიკური აფხაზეთის მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობა ყოველთვის განსხვავებული, ხშირად - ურთიერთგამომრიცხავი მსჯელობების საგანს წარმოადგენდა, თუმცა საბჭოთა ეპოქის დასასრულამდე ღია პოლემიკა ამ საკითხებზე, გასაგები მიზეზების გამო, ფაქტობ-

რივად არ მიმდინარეობდა. ყველა მხარე თავის პოზიციაზე რჩებოდა. თუკი ა. კალანდაძე, მაგალითად, კოლხურ ტომებს მთელი კოლხურ-ყობანური კულტურის ლამის ერთადერთ მატარებლად აცხადებდა (კალანდაძე, 1953: 5), აფხაზ მეცნიერთათვის თავისთავად იგულისხმებოდა, რომ აფხაზეთის მოსახლეობა ყოველთვის მხოლოდ აფხაზური უნდა ყოფილიყო. ამ დროს ყურადღების მიღმა რჩებოდა შემდეგი ფაქტები: აფხაზეთი წარმოადგენდა ბუნებრივ გზას ორ დიდ რეგიონს - ჩრდილოეთ და სამხრეთ კავკასიას შორის, რომლებშიც ყოველთვის აქტიურად მოქმედებდა აფხაზ ეთნოსზე ბევრად დიდი ძალები. უკვე ეს გარემოება, თავისთავად, გამორიცხავს ამ ეთნოსის მუდმივ ბატონობას აფხაზეთის ზღვისპირა ნაწილში მაინც.

რადგან აფხაზ მეცნიერებს ამ საკითხებზე ღიად არავინ ეკამათებოდა (მათი ქართველი კოლეგები, პ. ინგოროყვას ცნობილი წიგნის ფაქტობრივი აკრძალვის შემდეგ (ინგოროყვა, 1954), ამ ფაქიზ თემაზე მხოლოდ ქართულ ენაზე თუ წერდნენ), ზედმეტი არგუმენტაციის შექმნით მათ თავის გადატვირთვა არ სჭირდებოდათ. მ. ტრაფშის მიერ სახელწოდება „სოხუმი“-ს აფხაზური ენის მეშვეობით განმარტების მსგავსი მცდელობები მხოლოდ ეპიზოდურ ხასიათს ატარებდა (Трапш, 1951: 216), ძირითადად კი ისინი იზღუდებოდნენ განზოგადებული დებულებებით, რომლებსაც, რეალური პოლემიკის არარსებობის გამო, მათთვის ფაქტობრივად აქსიომის ძალა ჰქონდა. მაგალითად, თეზისი აფხაზეთის ტერიტორიის „კოლხურ-ყობანური კულტურის“ არეალში ყოფნის შესახებ. მაშინ როცა ამ კულტურის არსებობის მომხრეთა უმრავლესობა მას გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანით ათარიღებს, აფხაზი მეცნიერები, ი. ვორონოვის ჩათვლით, „ერთ-ერთ მის ვარიანტს“ ანტიკური, მათ შორის ელინისტური ხანის აფხაზეთშიც ხედავენ (Демографическая ситуация...1979: 348).

მსგავსი „უზუსტობის“ მიზანს წარმოადგენს იმისი ჩვენება, რომ აფხაზეთი არამარტო კოლხური, არამედ ყობანური სამყაროს ნაწილიც იყო და, შესაბამისად, ჩრდილოეთ კავკასიასთან არანაკლები საერთო ჰქონდა, ვიდრე კოლხეთთან[6].

---

[11] თუმცა ამ მოსაზრების გასაბათილებლად საკმარისია რუკაზე ერთი შეხედვა: გეოგრაფიულად აფხაზეთი წარმოადგენს დასავლეთ საქართველოს ბუნებრივ გაგრძელებას, მაშინ როცა ჩრდილოეთ კავკასიასთან მას ძალიან სერიოზული ბუნებრივი საზღვარი ჰყოფს, კავკასიონის ქედის სახით. ცხადია, რომ ნებისმიერი ენობრივი ერთობის ჩამოყალიბება კომპაქტურ ტერიტორიაზე უნდა მოხდეს, არადა აფხაზურ-ადიღური (დასავლეთ-კავკასიური) ჯგუფის ყველა ენა, აფხაზურის გარდა, კავკასიონის ჩრდილოეთითაა გავრცელებული. აქედან გამომდინარე, გაცილებით ლოგიკურია ვივარაუდოთ, რომ სწორედ აფხაზები წარმოადგენენ დასავლეთ-კავკასიური ენობრივი ჯგუფისგან გამიჯნულ და კავკასიონის სამხრეთით გადასახლებულ ჯგუფს, ვიდრე პირიქით. თანაც, იმის გათვალისწინებით, რომ აფხაზური ენა ამ ჯგუ-

იგივე მიზანი გააჩნია თეზისსაც ანტიკური წერილობითი წყაროების ტერმინი „კოლხი“-ს ყოველთვის „კრებითი ხასიათის“ შესახებ, ყოველ შემთხვევაში - აფხაზეთის ტერიტორიასთან მიმართებაში. „კრებითობა“ უნდა ნიშნავდეს, რომ კოლხთა ნებისმიერი ხსენება ამ ტერიტორიაზე არა ეთნიკურ, არამედ მხოლოდ პოლიტიკურ მდგომარეობას ასახავს, რადგან კოლხთა დომინირებული ეთნონიმის ქვეშ ვითომცდა რაღაც სხვა, ადგილობრივი ტომების სახელებიც იმალებოდა. ამ დროს არ ითვალისწინებენ, რომ ანტიკური ავტორები მოიხსენიებენ აფხაზეთის ტერიტორიაზე (მათ შორის სანაპირო ზოლისაგან საკმაოდ მოშორებითაც) კოლებს, კორაქსებს, ჰენიოხებს, ზოგჯერ - მოსხებსაც კი, თუმცა სანაპირო ზოლს, მდ. ბზიფამდე მაინც, ყოველთვის კოლხებს უტოვებენ. აქ აშკარად სწორედ კოლხთა ეთნიკურ ტერიტორიაზეა საუბარი. ძნელი წარმოსადგენია, რომ აფხაზეთის ვიწრო ზღვისპირა ზოლზე სხვა ტომებსაც ეცხოვრათ, რომლებსაც ბერძენი ავტორები ვერ ამჩნევდნენ მთელი ადრეანტიკური-ელინისტური ხანის მანძილზე, პოლიტიკური მდგომარეობის ყველა ცვლილებისგან დამოუკიდებლად. ახ. წ. I ს-შიც კი, როცა კოლხთა პოლიტიკური ჰეგემონობა უკვე გამორიცხულია და დიოსკურიის მიდამოებში სვანები ბატონობენ, თვით ქალაქი, რომაელი ავტორის პლინიუს უფროსის თქმით, ისევ „კოლხური“ რჩება, რა თქმა უნდა - ეთნიკური თვალსაზრისით (Латышев, 1890: 178-179). აქ უნდა აღვნიშნოთ შემდეგი: რადგან პლინიუსის ცნობა, რომელშიც ის დიოსკურიას „კოლხურ ქალაქად“ ასახელებს, მოთავსებულია მისი ნაშრომის XV პარაგრაფში, რომელიც, მ. ინაძის დაკვირვებით, კომპილაციური ხასიათისაა (ინაძე, 2001: 201), ამ ადგილზე შეიძლება რაღაც ანაქრონიზმის, ანუ - ქრონოლოგიური (და არა ფაქტობრივი) უზუსტობის არსებობაც დაგვეშვა. მაგრამ ამ ფრაზას შემდეგი გაგრძელებაც გააჩნია: - „ახლა კი ის [ქალაქი] დაცარიელებულია“, თუმცა ცოტა ხნით ადრე „ძალიან სახელოვანი“ იყო (Латышев, 1890: 179). პლინიუსის ეს სიტყვები (რომლებიც პირად შთაბეჭდილებას ჰგავს) აშკარად ცხადყოფს, რომ მისი ფრაზაც „კოლხური ქალაქი დიოსკურიის“ შესახებ, მისთვის ასევე აწმყო დროს ეხება.

ასე რომ, საკმაოდ დარწმუნებით შეიძლება იმისი მტკიცება, რომ აფხაზეთის ცენტრალური რაიონები მაინც ეთნიკურად კოლხური იყო. გ. შამბა იგნორირებას უკეთებს ამ გარემოებას, როცა აფხაზეთის ტერიტორიაზე სულ ორ ტომს ახსენებს - კორაქსებსა და კოლებს, და ყოველგვარი არგუმენტების გარეშე უაპელაციოდ აცხადებს, რომ აქაური მოსახლეობა „აფხაზური ენის ერთ-ერთ ვარიანტზე საუბრობდა“ (Проблемы ....1978: 339-340). ი. ვორონოვი

ფის დანარჩენ წევრებთან საკმაოდ დიდ მსგავსებას ამჟღავნებს, ეს არცთუ შორეულ ისტორიულ მომავალში უნდა მომხდარიყო.

და ა. ბოლტუნოვაც ასევე აიგივებენ ფაზისის ჩრდილოეთით მობინადრე ყველა ტომს ჰენიოხებთან, ხოლო ამ უკანასკნელებს ცალსახად აფხაზ-ადიღეებად მიიჩნევენ (Воронов, 1974: 74-78). კოლხურ-ჰენიოხური ეთნიკური საზღვრის ადრეანტიკურ ხანაში დადგენას კი ცდილობენ ჰეროდოტეს შემ-დეგი ფარაზის საფუძველზე: „მეოტიდის ტბიდან ფაზისამდე და კოლხთა სამფლობელომდე 30 დღის სავალია“ (Латышев, 1890: 4). მართალია, ეს ფრაზა შეიძლება გავიგოთ ისე, თითქოს ფაზისი (რიონი) წარმოადგენს კო-ლხთა სამფლობელოს უკიდურეს საზღვარს. თუმცა ფრაზა არც იმდენად კონკრეტულია, რომ მის საფუძველზე შესაძლებელი იყოს ასეთი კატეგორი-ული დასკვნების გაკეთება, სხვა ვარიანტების დაშვების გარეშე. ადვილად დასაშვებია, კერძოდ, რომ „ფაზისი“ აქ წარმოადგენს მხოლოდ ზოგად ორიე-ნტირს და გაიგივებულია მთელ კოლხთა ქვეყანასთან, რომლის ცენტრსაც წარმოადგენდა, ზუსტი საზღვრები კი ჰეროდოტეს ამ შემთხვევაში არ აინტე-რესებდა. გასათვალისწინებელია, რომ კოლხეთის დომინანტ ტომს ამ პე-რიოდში წარმოადგენდნენ ფასიანები, რომელთა თვით დასახელებაც მიუ-თითებს იმაზე, რომ ფაზისი მათი ცენტრი, და არა ერთ-ერთი საზღვარი იყო. სადმე კონტინენტის სიღრმეში ფაზისი, შესაძლოა, მიχნავდა კიდევაც მათ სვანებთან (რომლებიც მაშინ გაცილებით ვრცელ ტერიტორიაზე ცხოვრო-ბდნენ, ვიდრე დღეს), მაგრამ იმავე ფსევდო-სკილაქს კარიანდელის ცნობი-დან აშკარად ჩანს, რომ სანაპიროზე კოლხთა სამფლობელოში ქ. დიოსკუ-რიაც შედიოდა. თუმცა ეს შედარებით გვიანდელი წყაროა (ძვ. წ. IV ს.), მაგრამ ფსევდო-სკილაკსის ამ ანონიმ ავტორს სწორედ იმიტომ ეძახიან, რომ ის ძვ. წ. VI ს. ავტორის - სკილაკსის მონაცემებს იმეორებს (Инадзе, 1968: 48). მარ-თალია, ეს არ გამორიცხავს, რომ ამ თხზულების ზოგიერთ ადგილზე ფსევ-დო-სკილაკსი თავის დროინდელ მონაცემებსაც რთავს, მაგრამ არსებობს უფრო ძველი წყაროც, რომელიც ადასტურებს (თუმცა ირიბად) იმას, რომ სოხუმის უბის რაიონი კოლხთა ხელში იყო. ჰეკატეოს მილეტელი ამ რეგიო-ნის აღწერისას დიოსკურიას საერთოდ არ იხსენიებს (თუმცა ეს, სპეციალი-სტთა აზრით, სულაც არ ნიშნავს, რომ ეს ქალაქი მაშინ არ არსებობდა (Ина-дзе, 1968: 42), მაგრამ ამავე რაიონის ზედა ზონაში მცხოვრებ მთიელებს - კორაქსებს „კოლხურ ტომს“ ეძახის (Латышев, 1890: *2*)[7]. ანუ, ჰეკატეოს

[20]ტრადიციულად კორაქსები და მათი მეზობლები - კოლები ყოველთვის აფხაზეთის მთის ზონის მობინადრეებად მიიჩნეოდნენ, მაგრამ დღეს რუსი მეცნიერი ა. სკაკოვი გამოთქვამს არცთუ ცუდად არგუმენტირებულ და, შესაბამისად, საინტერესო მოსაზრებას, რომლის თანახმადაც ორივე ეს ტომი სინამდვილეში სადღაც დღევან-დელი ქ. სოჭის მიდამოებში ბინადრობდა (А. Скаков. Абхазия в античности. Попытка анализа письменных источников– учебные записки центра изучения Центральной Азии, Кавказа и Урало-Поволжья Института Востоковедения РАН т.1. Абхазия. М., 2013

მილეტელი პირდაპირ ასახელებს კორაქსთა ეთნიკურ ვინაობას. ასევე, არსებობს ვერსია, რომელიც ამ ეთნონიმს, ფუძეების „კორ“ - „კოლ“-ის იდენტიფიკაციის საფუძველზე, სახელწოდება „კოლხ“-თან აკავშირებს (ჯავახიშვილი, 1951: 359; Хоштария-Бросе, 1996: 36). ეს, ალბათ, არცთუ ძლიერი არგუმენტია, მაგრამ ჰეკატეოსის მიერ მათი მოხსენიება „კოლხურ ტომად“ გარკვეულწილად ამყარებს მას (Соловьев, 1917: 128). საგულისხმოა, რომ საპირისპირო ვერსიას (ანუ, კორაქსების გაიგივებას დღევანდელ აფხაზებთან) საერთოდ არანაირი არგუმენტი არ გააჩნია.

სამაგიეროდ, გარკვეულ ყურადღებას იმსახურებს ლ. სოლოვიოვის ვერსია კორაქსთა სვანურ წარმოშობაზე. ლ. სოლოვიოვის თქმით, „ყველგან, სადაც კორაქსებს იხსენიებენ... სვანები არ იხსენიებიან, და პირიქით, სადაც ნახსენებია სვანთა, სოანთა, სანნთა, სანიგთა ხალხი, იქ უკვე კორაქსები არ არიან“ (Соловьев, 1917: 128). თუმცა სვანებისა და კორაქსების პარალელური მოხსენიება ერთ და იგივე წერილობით წყაროში მართლაც არ გვხვდება, მაგრამ იმის მერე, რაც სტრაბონმა მოიხსენა ამ რეგიონში სვანები, პლინიუს უფროსი აქ ისევ კორაქსებს იხსენებს (Проблемы ....1978: 138; 179). სვანებისა და კორაქსების სახელების ასეთი მონაცვლეობა ერთ რეგიონში შეიძლება მივიჩნიოთ კიდევ ერთ არგუმენტად ლ. სოლოვიოვის ვერსიის სასარგებლოდ, თუმცა, როგორც ქვემოთ ვნახავთ, პლინიუსის ეს ცნობა არცთუ ისეთი საიმედოა.

მაშასადამე, დასაშვებია ორივე ვერსია: კორაქსები, შესაძლებელია, წარმოადგენდნენ მეგრულ-ზანური (საკუთრივ კოლხური) მოდგმის ტომს, რომელიც ფლობდა ცენტრალური აფხაზეთის ტერიტორიას, სანამ ძვ. წ. VI ს-ში ეს რეგიონი გაერთიანებული კოლხეთის სამეფოში არ შევიდა, შემდეგ კი დაუთმო კოლხთა სამეფოს თავისი ზღვისპირა ტერიტორია, თუმცა სანაპიროდან მოშორებით ტომობრივ ავტონომიას ერთ ხანს კიდევ ინარჩუნებდა. ანდა, ეს იყო სვანური ტომი, რომელიც პოლიტიკურად ნაწილობრივ ინკორპორირებულ იქნა კოლხთა სამეფოში, რის გამოც მათ „კოლხთა ტომის“ სახელითაც იხსენიებდნენ[8]. შეიძლება, ასევე, რამდენიმე კომპრომისული ვარიანტიც წარმოვიდგინოთ (მაგალითად, შერეული ტომი - მომდევნო ხანაში პტოლემაიოსის მიერ ნახსენები „სუანოკოლხების“ წინამორბედები, კოლხიზირებული სვანები და ა. შ.), თუმცა ნებისმიერ შემთხვევაში ამ ტომის

---

c. 28-30). თუ ეს ვერსია დადასტურდება, გამოდის, რომ დღევანდელი აფხაზეთის უდიდეს ნაწილში საკუთრივ კოლხთა გარდა საერთოდ არავინ ცხოვრობდა, ხოლო სოჭასთან ბინადრობდა ტომი, რომელსაც კოლხეთთან და კოლხებთან რაღაც კავშირი გააჩნდა.

[25] იგივე სიტუაციაში, როგორც ჩანს, იმავე ფსევდოსკილაკსის მიერ ნახსენები მოსხებიც იყვნენ, რომლებსაც ის ასევე „კოლხურ ტომს“ ეძახის.

არაქართული კუთვნილების სასარგებლოდ სერიოზული არგუმენტები ფაქტობრივად არ არსებობს. თუკი დავუშვებთ, რომ ეს უცხოენოვანი (აფხაზურ-ადიღური ან სკვითურ-კიმერიული) ტომი იყო, რომელიც ძვ. წ. VII-VI სს-ში აქ, სვანებისა და კოლხების მომიჯნავე ტერიტორიაზე ჩასახლდა, მათი ასიმილაცია მოცემულ პირობებში მაინც გარდაუვალი იქნებოდა.

კორაქსებისა და კოლხების გარდა, მხოლოდ ერთი წყარო - ფსევდოსკილაკსი, რომელიც, როგორც უკვე ითქვა, სავარაუდოდ, ძვ. წ. VI ს-ის მონაცემებით სარგებლობდა, კოლხეთის სიღრმეში სხვა ტომებსაც - კოლებს, მელანქლენებს, გელონებსა და მოსხებს, - აფიქსირებს, მაგრამ მომდევნო ხანაში ყველა ამ ეთნონს საბოლოოდ ცვლის სახელი კოლხი.

როგორც არ უნდა გადაწყდეს მომავალში კორაქსების ეთნიკური ვინაობის საკითხი, სტრატეგიული სიტუაცია, რომელიც, ჩვენი აზრით, შეიქმნა ცენტრალური აფხაზეთის ტერიტორიაზე ძვ. წ. VII ს. მანძილზე, საკმაოდ რთული უნდა ყოფილიყო ადგილობრივი კოლხური ტომებისთვის: კიმერიელთა შემოსევამ გაიარა ძირითადად მათ მიერ დასახლებულ ტერიტორიაზე, რომელიც წარმოადგენდა არცთუ ფართო ზოლს მთიანეთისა და ზღვისპირეთს შორის. ამას მოყვებოდა მთიელთა გააქტიურება და შეიარაღებული ზეწოლის გაძლიერება სანაპირო ზოლზე. ასეთი მდგომარეობა, სავარაუდოდ, უბიძგებდა ადგილობრივ კოლხებს ძვ. წ. VI ს-ში აღდგენის გზაზე მდგარ კოლხთა სამეფოსთან დაახლოებისკენ. მაგრამ კოლხეთის სახელმწიფოს დამკვიდრებამ ამ რეგიონში, სავარაუდოდ, ძირითადად პოლიტიკური, და არა ეთნიკური სიტუაცია შეცვალა, რადგან ზღვის სანაპირო, რომელიც ადრეანტიკური ხანის წერილობითი წყაროების თანახმად კოლხებს ეკუთვნოდა, მანამდეც მათივე მოდგმის ტომების მფლობელობაში უნდა ყოფილიყო. სხვა შემთხვევაში, სერიოზული ეთნიკური ძვრები აუცილებლად მკვეთრად აისახებოდა სოხუმის უბის ტერიტორიაზე აღმოჩენილი ნამოსახლარების არქეოლოგიურ მასალაზე, რომლებიც განუწყვეტლივ ფუნქციონირებდა ძვ. წ. VII-II საუკუნეებში< თუმცა ამას სინამდვილეში ადგილი არ ჰქონია (Лордкипанидзе, 1973: 45-56).

საინტერესოა, რომ კოლხთა მეფეების პოლიტიკურ ბატონობას აფხაზეთში თავის დროზე ი. ვორონოვიც აღიარებდა, მიუხედავად იმისა, რომ ადგილობრივ ტომებს ის „ჰენიოხური“ (ანუ, მისი გაგებით, აფხაზურ-ადიღური) სამყაროს ნაწილად თვლიდა (Воронов, 1969: 75). ამით ი. ვორონოვი იმ ფაქტის ახსნას ცდილობდა, რომ ბერძნული წერილობითი წყაროები ამ ტერიტორიაზე კოლხებს იხსენიებენ, თუმცა ეს, მისი აზრით, მხოლოდ პოლიტიკური, და არა ეთნიკური სურათის ასახვას წარმოადგენდა. მხოლოდ მოგვიანებით, როცა მკვლევარი საბოლოოდ დადგა ადრეანტიკურ ხანაში კო-

ლხეთის სახელმწიფოს არსებობის უარყოფის პოზიციაზე, მან საერთოდ უარყო ანტიკური ხანის დასასრულამდე კოლხთა განსახლების შესაძლებლობა ფაზისისგან ჩრდილოეთით, ხოლო ზემოთხსენებულ წერილობით მონაცემებს კოლხთა შესახებ უბრალოდ გვერდს უვლიდა (Воронов, 1969: 77).

მაშინდელი აფხაზეთის ტერიტორიის ვითომცდა ძირითად მობინადრეებს, ჰენიოხებს რაც შეეხება, მათი ეთნიკური კუთვნილებისა და კოლხებთან საზღვრის საკითხი ცალკე თემას წარმოადგენს, აქ კი მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ ეს საზღვარი გვიანანტიკური ხანის დასაწყისშიც კი (ახ. წ. I-II სს.), როცა კოლხეთის ტერიტორია სავარაუდოდ უკვე შემცირებული იყო, მდ. ბზიფზე გადიოდა და დიოსკურიასთან შეხება ანტიკურ ხანაში მათ უკვე არ ჰქონდათ. ჰენიოხების, და მათგან ჩრდილოეთით მცხოვრები ბარბაროსული ტომების ტერიტორიაზე ბერძნული კოლონიების დაარსება (შესაძლოა, მცირე, სეზონური ფაქტორიების გარდა), როგორც ჩანს, ფაქტობრივად შეუძლებელი იყო.

მკვლევართა მოსაზრებები დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრებ ტომთა განვითარების დონეზე ბერძნული კოლონიის დაარსების დროს საკმაოდ მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისაგან. მათი ნაწილი მიიჩნევს, რომ ადგილობრივი მოსახლეობა მაშინ გვაროვნული წყობილების პირობებში ცხოვრობდა და სხვადასხვა მიზეზთა გამო განვითარების დონის დაქვეითებას განიცდიდა (Воронов, 1980: 27; Проблемы... 1978: 261). უმეტესობის აზრით კი, პირიქით, სოხუმის უბის რაიონში უკვე შესამჩნევია მოსახლეობის კონცენტრაცია, ქალაქური ტიპის ადგილობრივი დასახლების არსებობაც არაა გამორიცხული, ხოლო ადგილობრივი ტომები, მათ სამარხებში არაუგვიანეს ძვ. წ. V ს-დან შესამჩნევი ქონებრივი დიფერენციაციის (კერძოდ, რამდენიმე უინვენტარო, სავარაუდოდ - მონების საფლავის არსებობის) გათვალისწინებით, უკვე კლასობრივი საზოგადოების შექმნის ზღვარზე იმყოფებოდნენ (Лордкипанидзе, 1973: 49-50). მართალია, ი. ვორონოვი უინვენტარო სამარხების ასეთი ადრინდელი დათარიღების მიზანშეწონილობას ეჭვქვეშ აყენებს, მაგრამ წითელი შუქურის რაიონში აღმოჩენილი მეჯინიბე-მონის სამარხს, რომელიც თავისი პატრონის ცხენებთან ერთად იყო დასაფლავებული, ძვ. წ. VI ს-ით ათარიღებს (Демографическая ситуация....1979: 367).

შეიძლება, ჩრდილოეთი კოლხეთი მართლაც გარკვეულწილად ჩამორჩებოდა ქვეყნის სამხრეთ რაიონებს, რადგან პერიფერიას წარმოადგენდა, მაგრამ სახელმწიფოს არსებობის აუცილებელი დაკავშირება „კლასობრივ საზოგადოებასთან“ უკვე მოძველებულ საბჭოთა კლიშეს წარმოადგენს. კოლხეთისნაირ ქვეყანაში სახელმწიფო ორგანიზაცია შეიძლება თემუ-

რი საზოგადოების ბაზაზეც შექმნილიყო[9], როგორც ამას ადგილი ჰქონდა ზოგადად ახლო აღმოსავლეთში (Виткин, 1968: 436), მაგალითად - თავ-დაცვის მიზნით.

სკეპტიციზმით ცნობილი ი. ვორონოვი, დიოსკურიის დაარსების მო-მენტისთვის არსებულ ვითარებას მეტად მუქ ფერებში წარმოადგენდა: ეს მხარე, მისი აზრით, მნიშვნელოვანწილად დაცარიელებული იყო სკვითთა და კიმერიელთა შემოსევების მერე და ღრმა კრიზისში იმყოფებოდა, რამაც, მისი აზრით, ბერძენ კოლონისტებს ხელი შეუწყო (Воронов, 1980: 27). მაგრამ ასეთი ლოგიკით ძნელი ასახსნელია, რატომ მოხდა ამ რეგიონში კოლონიის დაარსება მხოლოდ დიდი ბერძნული კოლონიზაციის დამლევს, როცა და-ნარჩენ შავიზღვისპირეთში ეს პროცესი ფაქტობრივად უკვე დასრულებული იყო. ხოლო მომთაბარეთა შემოსევების შედეგებს რაც შეეხება, მართალია, ისინი დიდი ზიანის მომტანი იყო კულხასნაირი მსხვილი გაერთიანებების-თვის, თუმცა ხშირ საომარ შეტაკებებს შეჩვეული, ტყიანი და მთა-გორიანი მცირე დასახლებების მცხოვრებთათვის ეს ზარალი ნაკლებად კატასტრო-ფული უნდა ყოფილიყო. მტრის დიდი შემოსევის დროს ისინი ხშირ შემთხ-ვევაში ასწრებდნენ ოჯახების, საქონლისა და ქონების დიდი ნაწილის ტყეე-ბში გადამალვას, ხოლო მტრის წასვლის შემდეგ შედარებით ადვილად ახე-რხებდნენ თავინთი მარტივი მეურნეობის აღდგენას. შემდგომი შეტაკებები მომთაბარეთა ცალკეულ ჯგუფებთან კი მთიელთა შორის მუდამ მიმდინარე ჩვეულებრივ ქიშპზე ბევრად საშიში არ უნდა ყოფილიყო.

თუმცა ყველაფერი ზემოთქმული სულაც არ ნიშნავს, რომ კიმერიელ-თა შემოსევამ სულ არ იქონია გავლენა ძალთა ბალანსზე ამ რეგიონში. ბარის მდიდარ რაიონებში მცხოვრები, მანამდე წამყვანი ტომების მდგომარეობა უთუოდ შერყეულ იქნა მომთაბარეებთან შეტაკებებითა და კულხას სამეფოს

---

32 საბჭოთა ისტორიოგრაფიაში გაბატონებული შეხედულება სახელმწიფოზე, რო-გორც პირველ რიგში კლასობრივი საზოგადოების ორგანიზაციაზე, უარყოფილ იქნა თვით საბჭოთა წყობაზე ადრე. ტომობრივ საფუძველზე შექმნილი ზეტომობრივი სა-ხელმწიფო ორგანიზაცია, რომელიც გამოკვეთილ საზოგადოებრივ კლასებზე ადრე ყალიბდება, ძველ სამყაროში არა გამონაკლისს, არამედ პირიქით, ნორმას წარ-მოადგენდა. კლასები კი მეორადი მოვლენა იყო /იხ. И.Фроянов. К истории зарожде-ния Русского государства. Сб. «Из истории Византии и византиеведения». Л., 1991/. ამ ყველაფრის გათვალისწინებით, კულხას სამეფო, რომელშიც ურარტუელებმა დაა-ფიქსირეს ცენტრალიზებული ადმინისტრაციის ელემენტები (მეფის ნაცვალი - „irdi“) და „სამეფო ქალაქები“, როგორც დასახლებების სპეციფიკური კატეგორია, უთუოდ სახელმწიფოს, და არა ამორფულ „გაერთიანებას“, წარმოადგენდა. სხვა საქმეა, რომ ეს დებულება მხოლოდ საკუთრივ კულხას ეხებოდა, და არა მთელ მის გავლენის სფეროსა და მოხარკე ტომების ტერიტორიას, რომელიც, ცხადია, გაცილებით ვრცე-ლი იყო.

დასუსტებით, რომელიც უთუოდ ასრულებდა გარკვეული მასტაბილიზირებელი ფაქტორის როლს. ამ ფონზე მთიელთა აქტივიზაცია და ბარზე ზეწოლის გაძლიერება გარდაუვალი იყო. თანაც, ის მიმდინარეობდა ორი მიმართულებით - უშუალოდ მთიდან, და ზღვიდან, სადაც მეკობრეობის - „კამარიტობის“ სახე მიიღო. ცნობილია, რომ მთიელები, როგორც წესი, ბარს უტევენ მაშინ, როცა იქ სტაბილური საკმარისი ძალა არ არსებობს. ასეთ პირობებში ინიციატივა ჩვეულებრივ მთიელებს ეკუთვნის და ბარის მოსახლეობა, თავისი ბუნებრივად ნაკლებ დაცული ტერიტორიითა და უფრო განვითარებული მეურნეობით, უფრო დიდ ზარალს განიცდის, თუნდაც თვითონაც მთიელებზე არანაკლებად მეომრული და აგრესიული ხასიათის იყოს. აქედან გამომდინარე, დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრები კოლხური ტომების მდგომარეობა განსაკუთრებით რთული ჩანს. აქ ისინი იკავებდნენ მეტ-ნაკლებად ვიწრო დერეფანს მთებსა და ზღვას შორის. მთებში, სავარაუდოდ, სვანური მოდგმის ტომები ჭარბობდნენ, რომლებიც ენითა და თვითშეგნებით უკვე მნიშვნელოვნად განსხვავდებოდნენ მონათესავე კოლხებისაგან და, სავარაუდოდ, დაინტერესებული იყვნენ ბარის მდიდარი მიწების ხელში ჩაგდებით ან მათი ძარცვით მაინც. მითუმეტეს, რომ ამ მიწების ნაწილი, შესაძლოა, რამდენიმე საუკუნით ადრე მათ წინაპრებს ეკუთვნოდა (ეს საკითხი დღემდე საკამათოა). ზღვაზე კი ცენტრალური აფხაზეთის მცხოვრებლებს, სავარაუდოდ, უწევდათ თავიანთ ჩრდილო-დასავლელ მეზობლებთან გამკლავება, რომელთა შორის, როგორც სვანური და აფხაზურ-ადიღური მოდგმის, ასევე მათივე, კოლხური წარმოშობის ტომებიც შეიძლება ვივარაუდოთ (მაშინდელი ჩრდილო-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ეთნიკური სურათი დღემდე გაურკვეველია).

ამ ყველაფრის მიუხედავად, ცენტრალური აფხაზეთის ტომებმა მოახერხეს თავიანთი ტერიტორიის ძირითადი ნაწილის შენარჩუნება. ყოველ შემთხვევაში, სერიოზული ეთნო-პოლიტიკური ძვრების რაიმე ნიშანი ამ ეპოქაში აქ არ მოიპოვება, რაც სოხუმის რაიონის არქეოლოგიური მასალიდან კარგად ჩანს. აქედან გამომდინარე, ი. ვორონოვის ვერსია, თითქოსდა ამ პერიოდში აქაური მოსახლეობა გამეჩხერებული, და შესაბამისად - დაუძლურებული იყო, არ დასტურდება, თუმცა საბრძოლო იარაღის სიუხვე ადგილობრივ სამარხებში საკმაოდ რთული საერთო მდგომარეობის ნიშანია. და მაინც, ძვ. წ. VI ს-ში აღდგენილი კოლხეთის სამეფო მასტაბილიზირებელ ძალას წარმოადგენდა და მასთან თანამშრომლობა ამ ეტაპზე ობიექტურად, როგორც ადგილობრივი კოლხების, ასევე ბერძენი ვაჭრების ინტერესებში შედიოდა, რომლებსაც ამის წყალობით აქ კოლონიის შექმნის შესაძლებლობა მიეცათ.

გამოყენებული ლიტერატურა:

ინაძე, მ. (2001). მ. ინაძე. კოლხეთის აღწერილობა პლინიუს უფროსის „ბუნების ისტორიაში“ (წყაროთმცოდნეობითი ნარკვევი). „კავკასიურ-ახლოაღმოსავლური კრებული“. „მემატიანე“, თბილისი;

ჯავახიშვილი, ი. (1951). ივანე ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია. წიგნი 1. თსუ გამომცემლობა, თბილისი;

Виткин, М. (1968). М. Виткин. Проблемы перехода от первичной формации к вторичной. «Проблемы истории докапиталистических обществ». кн.1. Москва.

Воронов, Ю. (1969). Ю. Воронов. Археологическая карта Абхазии. Сухуми;

Воронов, Ю. (1980). Ю. Воронов. Диоскурия-Себастополис-Цхум. Москва.

Воронов, Ю. (1974). Ю. Воронов. Материальная культура гениохов. Сборник работ молодых ученых-историков Абхазии. Сухуми;

Демографическая ситуация...(1979) Демографическая ситуация в Причерноморье в период Великой Греческой Колонизации. Мецниереба, Тбилиси.

Инадзе, М. (1968). М. Инадзе. Причерноморские города древней Колхиды. Изд-во Мецниереба, Тбилиси.

Латышев, В. (1890). В. Латышев. Известия древних писателей, греческих и латинских, о Скифии и Кавказе. СПб;

Лордкипанидзе, Г. (1973). Г. Лордкипанидзе. Колхида в VI-II вв. до н. э. Издательство. Б. и. Тбилиси.

Лордкипанидзе, О. (1989). О. Лордкипанидзе. Наследие древней Грузии. Изд-во Мецниереба, Тбилиси.

Меликишвили, Г. (1959). Г. Меликишвили. К истории древней Грузии. Изд-во Акад. наук Груз. ССР, Тбилиси.

Проблемы..(1978) Проблемы греческой колонизации Северного и Восточного Причерноморья. Тбилиси.

Скаков, А. (2013). А. Скаков. Абхазия в античности. Попытка анализа письменных источников– учебные записки центра изучения Центральной Азии, Кавказа и Урало-Поволжья Института Востоковедения РАН т.1. Абхазия. Москва.

Соловьев, Л. (1917). Л. Соловьев. Диоскурия-Себастополис-Цхум. Труды АбНИИ, вып.1. Сухуми;

Трапш, М. (1951). М. Трапш. Древний Сухуми. Труды. 2. Сухуми;

Фроянов, И. (1991). И. Фроянов. К истории зарождения Русского государства. Сб. „Из истории Византии и византиеведения“;

Хоштария-Бросе, М. (1996). М. Хоштария-Бросе. История и современность. Абхазская проблема в конфликтологическом аспекте. Тбилиси.